



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანეს (ჰოვანეს) დრასხანაკერტი

იოანეს (ჰოვანეს) დრასხანაკერტი, დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი (889–931), სომეხი ისტორიკოსი. 897-იდან სომხეთის კათოლიკოსი. ავტორი თხზულებებისა „სომეხი მამამთავრების რიგი“ და „სომხეთის ისტორია“, რ-შიც აღწერილია სომხეთის თავგადასავალი ქვეყნის დასაბამიდან 914-მდე. განსაკუთრებით ფასეულია თხზულების ის ნაწილი, რ-იც IX ს. შუა ხანებს ეხება. აქ ავტორი სომხეთის ისტორიის პარალელურად, მასთან უშუალო კავშირში საქართველოს შესახებაც მრავალ საგულისხმო ცნობას გვანვდის. ი. დ-ის ცნობით ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III-მ, რ-იც IX ს. დასასრულს და X ს. დასაწყისში ჩრდილოეთის, კერძოდ, ალანთა კარის მოსაზღვრე ქვეყნისათვის ენერგიულად იბრძოდა: „შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხარით კავკასიის მთის ხეობით, რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა“.

ი. დ. მოგვითხრობს ქართველთა კურაპალატ ადარნასეს ურთიერთობაზე სომხეთის - სამეფოსთან. კერძოდ, იგი ადარნასეს „ქართველთა მეფედ“ დადგენას მთლიანად სუმბატ სომეხთა მეფის დამსახურებად მიიჩნევს. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ეს ცნობა გადაჭარბებულია, თუმცა შესაძლებელია სუმბატს, როგორც ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელს, მხარი დაეჭირა ადარნასეს გამეფებისათვის. ი. დ-ის შრომებში დაცული ცნობები ადასტურებს ქართ. სინამდვილეში შექმნილ ლეგენდას ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმოშობის შესახებ, რ-იც გაიზიარეს ჩვენმა მეზობელმა ხალხებმა (სომხებმა, ბიზანტიელებმა).

თხზ.: ცნობები საქართველოს შესახებ, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1937; სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965.

